21-ე საუკუნის

ზრდასრულთა განათლების

მანიფესტი

სწავლის ძალა და სიხარული

EUROPEAN ASSOCIATION FOR
THE EDUCATION OF ADULTS

Publisher: European Association for the Education of Adults – EAEA
Text: Gina Ebner and Ricarda Motschilnig (EAEA), with the support of the EAEA members, the Executive Board and the Secretariat.
Layout: Sanna Lehti
Year: 2019

Ministry of Education and Culture

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

This publication is produced with the financial support of the Finnish Ministry of Education and Culture.

The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsi ble for any use which may be made of the information contained therein.

21-ე საუკუნის **ზრდასრულთა განათლების** მანიფესტი

სწავლის ძალა და სიხარული

ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაცია (EAEA), ამ მანიფესტით, გთავაზობთ შეიქმნას „შემსწავლელი ევროპა“: ევროპა, რომელიც მომავალში შეძლებს, საჭირო უნარების, ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით, წარმატებით გაართვას თავი გამოწვევებს. მოცემულ მომენტში, ეს მოითხოვს მდგრად ინვესტიციებს ზრდასრულთა განათლებაში ყველა დონეზე - ევროპის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ეჭვგარეშეა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ინვესტიციები დანახარჯს გაამართლებს: ამაღლდება კონკურენტუნარიანობის, კეთილდღეობისა და ერების ჯანმრთელობის დონე, გაიზრდება ეკონომიკური განვითარების ტემპი და ა.შ.

ზრდასრულთა განათლებას შეუძლია შეცვალოს ცხოვრება და საზოგადოება. განათლების უფლება საზოგადოების ფუნდამენტური უფლება და საერთო სარგებელია. EAEA-ს მიზანია ზრდასრულთა სწავლა და განათლება გაძლიერდეს ევროპულ დონეზე. მანიფესტი ხაზს უსვამს ზრდასრულთა განათლების პოზიტიურ წვლილს ევროპის განვითარებაში. თუმცა, იმისათვის, რომ ეს მოხდეს, საჭიროა სოლიდური საზოგადოებრივი ინვესტიციები ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციებსა და ზრდასრულ მსმენელებში. ზრდასრულთა განათლება, ასევე მკაფიოდ უნდა იყოს მოქცეული უწყვეტი განათლების სტრატეგიაში, რომელშიც თანაბრად გათვალისწინებული და მნიშვნელოვანი იქნება სწავლის ყველა ფორმა (ფორმალური, ინფორმალური, არაფორმალური).

ამ მანიფესტით გვსურს, ხაზი გავუსვათ, ერთი მხრივ, ზრდასრულთა განათლების ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს და, მეორე მხრივ, სწავლის პოზიტიურ გამოცდილებას. ყოველთვის თვალსაჩინო არ არის სწავლის მნიშვნელობა, რაც გამოწვეულია ცუდი სასწავლო გამოცდილებით, ფინანსური რესურსისა და დროის სიმწირით. EAEA-ს მიზანია, ხაზი გაუსვას ზრდასრულთა განათლების პოზიტიურ შედეგებსა და სარგებელს. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის საუკეთესო მიდგომა - მოვიზიდოთ სწავლას დაშორებული ადამიანები.

გამოწვევები და საპასუხო რეაქციები

დღესდღეობით, ზრდასრულთა განათლება ევროპაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების წარმატებით გამკლავების ინსტრუმენტია. ევროპა დღეს მზარდი უთანასწორობის პრობლემის წინაშე დგას - არა მხოლოდ ევროპის ხალხთა, არამედ რეგიონებსა და ქვეყნებს შორის. ქსენოფობიური და ანტიევროპული შეხედულებების მქონე პარტიებისთვის ხმის მიცემით ჩანს, რომ უფრო და უფრო მეტი ევროპელი ეჭვქვეშ აყენებს ევროპულ ღირებულებებს. ძალიან მნიშვნელოვანია, ზრდასრულთა განათლების გზით, ხალხი ჩაერთოს დემოკრატიის საკითხების განხილვაში.

დემოგრაფიული პროცესები ცვლის მოსახლეობის შემადგენლობას - სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, შესაბამისად ადამიანებს სურთ, რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ჯანმრთელები და აქტიურები. ბევრ ქვეყანასა და რეგიონში, სადაც მნიშვნელოვნად შეიცვალა დასაქმების შესაძლებლობები და ამავდროულად გადამზადების მცირე არჩევანია, უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებში. მზარდი დიგიტალიზაცია, დასაქმებულის, მოქალაქისა და მომხმარებლისგან ახალ უნარებსა და კომპეტენციებს მოითხოვს.

ევროპაში მიგრაციის მაღალი მაჩვენებელია, რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს ევროპული მთავრობებისთვის და ერთობისთვის. ამან, ერთი მხრივ, ევროპელი მოქალაქეების მხარდაჭერა მოიპოვა, ხოლო მეორე მხრივ კრიტიკოსების მწვავე თავდაცვითი რეაქცია გამოიწვია. კლიმატური ცვლილებები და სხვა ეკოლოგიური პრობლემები საშიშროების წინაშე აყენებს (არამხოლოდ) ევროპის მომავალს და მდგრადი ეკონომიკის, საზოგადოების და ცხოვრების წესის აუცილებლობას ქმნის.

ზრდასრულთა განათლება პოზიტიურად პასუხობს ასეთ საკითხებს. მას სარგებელი მოაქვს არამარტო ინდივიდებისთვის, არამედ საზოგადოებისა და ეკონომიკისთვისაც. გვინდა ინოვაციური, უფრო მეტად თანაბარი და მყარი ევროპა, სადაც ადამიანები დემოკრატიულად და აქტიურად ჩაერთვებიან სამოქალაქო ცხოვრებაში, სადაც ადამიანებს ექნებათ უნარები და განათლება ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრებისთვის და შესაძლებლობა - ნებისმიერ ასაკში მონაწილეობა მიიღონ კულტურულ და სამოქალაქო აქტივობებში? EAEA წარმოგვიდგენს არგუმენტებს, კვლევებს, მაგალითებსა და მკვლევარების ისტორიებს, რომლებიც ჩვენ პოზიციებს თვალნათლივ ასახავს.

არაფორმალური ზრდასრულთა განათლების საკვანძო პრინციპები

- ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს საერთო და საზოგადოებრივ პროდუქტს, რომელიც ცვლის საზოგადოების ცხოვრებას;

- მაღალ-ხარისხიანი ზრდასრულთა განათლების მიღება წარმოადგენს ყველას უფლებას და შესაძლებლობას;

- ყველას შეუძლია განათლების მიღება მიუხედავად ასაკისა თუ გამოცდილებისა;

- მსმენელების (განსაკუთრებით მათი, ვისაც დაბალი საბაზისო უნარები აქვთ) ჩართულობა წახალისებულია;

- ზრდასრულთა განათლების საკვანძო მიზანია მოვიზიდოთ სპეციალური საჭიროების მქონე პირები, რათა ვუზრუნველყოთ ყველა სამიზნე ჯგუფისთვის ზრდასრულთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა;

- მეთდოლოგია, სასწავლო პროცესი და სწავლების შედეგი მთლიანად ორიენტირებულია მსმენელზე;

- არაფორმალური მეთოდების და მეთოდოლოგიების გაძლიერება პასუხობს მსმენელების კრეტიულობას, არსებულ ცოდნასა და უნარებს და უზრუნველყოფს შთამაგონებელ სასწავლო პროცესს;

- პროფესიონალი ტრენერები, მასწავლებლები და თანამშრომლები საჭიროა შესაფერისი მეთოდების, მაღალი ხარისხის მიღწევების და მსმენელებისთვის წარმატებული გამოცდილების უზრუნველსაყოფად;

- ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება და ინოვაციები საჭიროა ადაპტაციისა და მოსალოდნელ ცვლილებებზე საპასუხოდ, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის, მსმენელების საჭიროებების და სოციო-ეკონომიკური განვითარების კუთხით ხდება;

- თანამშრომლობა (რეგიონული, ევროპული, გლობალური და ინსტიტუციური) გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც ზრდასრულთა განათლების ცნობადობის გაზრდის, ასევე თანასწორ-განმანათლებლობისა და ინოვაციების გაზიარების თვალსაზრისით.

---

1) We do not want to rank these challenges according to importance – we see them as equally crucial and the order that has been given to them in this paper does not imply any preference.

2) This refers to the fact that people with lower levels of education tend to have fewer opportunities to participate in adult learning.

აქტიური მოქალაქეობა და დემოკრატია

EAEA და მისი წევრი ორგანიზაციები ევროპისადმი და ევროპული ფასეულობებისადმი ურყევ ერთგულებას გამოხატავენ. მიგვაჩნია, რომ დემოკრატია და კულტურათაშორისი გაცვლა, სოციალური სამართალი და თანამშრომლობა არის პატივისცემით, მონაწილეობით, ერთიანობით გაჯერებული ევროპის შექმნის საკვანძო ინსტრუმენტი. დემოკრატიას და ევროპულ ზრდასრულთა განათლებას აქვს საერთო ფესვები და ისტორია. ზრდასრულთა განათლებამ საგრძნობლად დიდი გავლენა იქონია დემოკრატიის განვითარებაზე ევროპულ საზოგადოებაში, მაგრამ ამავადროულად, დემოკრატიულმა აქტივობებმა ზეგავლენა მოახდინა ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციების განვითარებაზე. ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციების ნაწილის დაარსება ემყარება დამოუკიდებელ აქტივისტურ მოძრაობებს (მუშებს, ქალებს, რელიგიურ ორგანიზაციებს და ა.შ.).

ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების განვითარების, გაძლიერების, სიცოცხლით სავსე და ცივილური საზოგადოების, ცოდნის შექმნის ინსტრუმენტს. ის სპეციალურ სივრცეს გამოყოფს აქტიური მოქალაქეობის განვითარებისთვის. ზრდასრულთა განათლება აუცილებელია სოციალური სიტუაციების და გამოწვევების ასახვისთვის, რათა შევისწავლოთ უმთავრესი ევროპული საკითხები, როგორიცაა მზარდი რადიკალიზმი, მიგრაცია და სოციალური უთანასწორობა. ამ საკითხებმა დაგვანახა, რომ უნდა გაძლიერდეს დემოკრატიული მიდგომები, ტოლერანტობა და პატივისცემა. კრიტიკული აზროვნება ციფრული სამყაროს აღქმისა და გაგების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც მედია წიგნიერების მაღალ დონეს მოითხოვს.

ზრდასრულთა განათლება აძლიერებს და აღადგენს სამოქალაქო საზოგადოებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების და ევროპისადმი და დემოკრატიული ღირებულებებისადმი მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერების გზით. მონაწილეობრივი დემოკრატიის მიღწევა შესაძლებელია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანითა და პოლიტიკური და სოციალური საკითხების კრიტიკული შეფასებით.

კვლევებით დასტურდება

პრესტონმა (2004) გაანალიზა ზრდასრულთა განათლების გავლენა მონაწილეთა სამოქალაქო ცხოვრებასა და ღირებულებების, კერძოდ ტოლერანტობის, ჩამოყალიბებაზე. განათლებაში ინდივიდების ჩართულობა განაპირობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, რადგან "რაც მეტადაა სტუდენტი ჩართული განათლებაში, მით უფრო დიდი სურვილი აქვს დადებითი როლი ითამაშოს საზოგადოებრივ ჩართულობაში". უფრო მეტიც, ზრდასრულთა განათლების წყალობით, მსმენელები უფრო ტოლერანტულები ხდებიან სხვა რასისა და კულტურის წარმომადგენელთა მიმართ და არჩევნებში მათი მონაწილეობის ალბათობაც იზრდება. მან აღმოაჩინა, რომ სწავლა გავლენას ახდენს ფორმალურ და არაფორმალურ სამოქალაქო ჩართულობაზე. ის ეხმარება შექმნან, შეინარჩუნონ, გაწყვიტონ, გადააწყონ და გაამდიდრონ საკუთარი სოციალური ქსელი. გარდა ამისა, განათლება გავლენას ახდენს ღირებულებების ფორმირებაზე. მაგალითად, რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ შეეცვალათ ტოლერანტობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის დონე. (http://discovery.ucl.ac.uk/10015019/) სამოქალაქო და საზოგადოებრივი ჩართულობა ის სწავლების შედეგია, რომელიც 2007 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გაანალიზა. (http://www.oecd.org/education/ceri/understandingthesocialoutcomesoflearning.htm).

წარმატებული პრაქტიკა

უკრაინის პროექტის "რეგიონალური ხმები დემოკრატიისათვის: საშუალებები ადგილობრივი თემის დიალოგისთვის" ფარგლებში მიკოლაივის რეგიონში არსებული მდგრადი განვითარების კლუბის ინიციატივით დაიწყო იდეების გაზიარება თემში ენერგიის ხარჯვის საკითხებზე. მასში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების აქტივისტებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მედიამ. იდეების გაზიარებისთვის შეიქმნა საგანამანათლებლო პროგრამა და ჩატარდა ტრენინგები "ეკოლოგიისა და ენერგიის დაზოგვის გავლენა ადგილობრივი განვითარებისთვის". ტრენინგში მონაწილეობას სხვადასხვა დაინტერესებული მხარე იღებდა.

ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საგანმანათლებლო კომპონენტები აისახა ფართო ტერიროტიული თემის სტრატეგიაში (2018-2026). ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თემმა მხარი დაუჭირა ზრდასრრულთა განათლების ცენტრს და შესაბამისად, უკრაინაში ზრდასრულთა განათლება პირველად აისახა სამოქმედო გეგმაში.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ყველაზე წარმატებულ ქვეყნებშიც კი არსებობს მნიშვნელოვანი უთანასწორობა ჯანმრთელობისა და, შესაბამისად, სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხებში. ჯანმრთელობა და განათლება ერთმანეთთან დაკავშრებული ცნებებია: ჩვენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა მოითხოვს მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ განათლებას, უნარებს, ქცევებსა და დამოკიდებულებებს. საზოგადოების ჯანმრთელობა დამოკიდებულია სწორედ იმ განათლებაზე, რომელსაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იღებს.

სწავლა ადამიანს ხდის უფრო მეტად თავდაჯერებულს, ქმედითს და ამავდროულად, ეხმარება საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გაცნობიერებაში. აღნიშნული კი ქმნის იმ შესაძლებლობას, რომლითაც ისინი საკუთარ ცხოვრებასა და ჯანმრთელობას წარმართავენ. ზრდასრულებისათვის განკუთვნილი შემსწავლელი კურსები ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამავდროულად აძლიერებს მათ სოციალურ ქსელს, რაც გადამწყვეტია მათი კეთიდღეობისთვის. ეს ხელს უწყობს არა მარტო მათ პიროვნულ განვითარებას, არამედ პოზიტიურ გავლენას ახდენს მათ სამუშაო ცხოვრებაზე.

ჯანდაცვის განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის გაზრდასა და სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემების ხელმისაწვდომობაზე. აღნიშნული ასევე გავლენას ახდენს ადამიანის შემოსავალზე, რადგან რაც უფრო ჯანმრთელია ის, მით უფრო დიდხანს და უკეთ მუშაობს. შესაბამისად, ჯანდაცვის განათლება ითვალისწინებს ყველას, როგორც მიმღებს (პაციენტი ან მკვლევარი), ასევე მიმწოდებელსაც (ჯანდაცვის სპეციალისტები, საგანმანათლებლო კადრები). ეს საკითხი, როგორც ასეთი, განყენებულად არ დგას, არამედ ის იკვეთება სხვა სფეროებთან, რომელთან ერთადაც უნდა იყოს განხილული.

კვლევებით დასტურდება

UNESCO-ს მესამე მსოფლიო გლობალურ ანგარიშში ზრდასრულთა სწავლასა და განათლებაზე (Grale 2016) აღნიშნულია, რომ ადამიანები რომელთაც უფრო მეტი განათლება აქვთ მიღებული, უკეთ იცნობენ საკუთარ ჯანმრთელობას, მეტი ინფორმაცია აქვთ მათთვის საჭირო მკურნალობის გზებზე და მეტი უნარი შესწევთ, რომ იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობაზე. ადამიანები, რომლებსაც მეტი განათლება აქვთ მიღებული უფრო ნაკლებად აცდენენ სამსახურს ავადმყოფობის გამო. საერთაშორისო კვლევები განათლებას ჯანმრთელობის ისეთ გადამწყვეტ ფაქტორებს უკავშირებენ, როგორიც, მაგალითად, ჯანსაღი ქცევა და პრევენციული მომსახურების გამოყენებაა. უკეთ განათლებული ადამიანები ნაკლებად მოიხმარენ თამბაქოსა და არალეგალურ ნარკოტიკებს, ასევე ნაკლებად იღებენ ალკოჰოლს. ისინი, სავარაუდოდ, უფრო მეტად ვარჯიშობენ, ავტომობილში მგზავრობისას იყენებენ უსაფრთხოების ღვედს, იკეთებენ ვაქცინაციასა და მონაწილეობას იღებენ სკრინინგ პროგრამებში. (GRALE 2016)

3) UNESCO (2016). Third Global Report on Adult Learning and Education. [online] Hamburg: UNESCO Institute for Lifelong Learning. Available at: http://unesdoc.unesco.org/images/0024/002459/245913e.pdf.

წარმატებული პრაქტიკა

ავსტრიული პროექტი „Alpha Power" (რომელიც 2015 წელს გახდა EAEA Grundtvig award-ის საერთაშორისო გამარჯვებული) ეხებოდა სხვადასხვა ინსტიტუტებში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებს. უფრო კონკრეტულად, შემუშავდა სპეციალური ვორქშოპები, სამედიცინო-ტექნიკური, სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგნენ მძიმე ჯანმრთელობის სტატუსის მქონე ადამიანებს, რომელთაც აქვთ დაბალი საბაზისო განათლება.

გარდა იმისა, რომ ამ პროექტის ფრაგლებში ჯანდაცვის მუშაკების დამოკიდებულება შეიცვალა ზოგად განათლებასა და ჯანმრთელობას შორის არსებული კავშირის მიმართ, ამ პროექტს სხვა სამომავლო მიზნებიც ჰქონდა:

- მულტიპლიკატორებისთვის ინფორმაციული მასალის განვითარება და ცნობადობისთვის სახემძღვანელოს(guide) შექმნა;
- ჯანდაცვის საკითხებთან ხემისაწვდომობის გაადვილება;
- იმ ადამიანების ჯანდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება, რომელთაც განათლების დაბალი დონე აქვთ.

პროექტში მონაწილე ყველა დაწესებულებაში, სხვადასხვა პროფესიების მქონე ჯანდაცვის მუშაკებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რათა მათ მიეღოთ მეტი ცოდნა და უნარი სხვადასხვა მიმართულებით და გამხდარიყვნენ მულტიპლიკატორები.

კვლევითი დადასტურება

ზრდასრულთა განათლება მხოლოდ ცოდნის მისაღებ დამატებით მეთოდს არ წარმოადგენს, ის ასევე გაძლიერებისა და მენტალური კეთილდღეობის პროაქტიული საშუალებაა. როგორც კვლევები გვაჩვენებს, ზრდასრულთა განათლება ადამიანების ცხოვრებას უფრო ბედნიერს და ამავდროულად ჯანსაღს ხდის. BELL-ის კვლევებმა აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლების მეშვეობით გამოკითხულთა 84%-ის ფსიქიკური ჯანმთელობა პოზიტიურად შეიცვალა, ხოლო 83%-ს შემთხვევაში დადებითი ცვლილებები შეინიშნებოდა ცხოვრების მიზნისადმი დამოკიდებულებაში. (http://www.bell-project.eu/cms/)

ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები

მოსაზრება, რომ 21-ე საუკუნეში ყველას აქვს ის საბაზისო უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც მათ ცხოვრებისა და მუშაობისთვის სჭირდებათ, სიმართლეა. ეს დანამდვილებით შეიცავს ისეთ საბაზისო კომპეტენციებს, როგორიც წიგნიერება და მათემატიკური აზროვნებაა. ასევე, იმ საკვანძო უნარებს რომლებიც ნახსენებია ,, ევროპული ცნობარის უწყვეტი სწავლების ძირითად კომპეტენციებში", რომელიც ევროკავშირის საბჭომ 2018 წელს მიიღო. ზრდასრულთა განათლება იძლევა ისეთ უნარებს და სწავლის გამოცდილებებს, რომლებიც ქმნიან და გვთავაზობენ სხვადასხვა გზას ინდივიდების მხარდასაჭერად მთელი ცხოვრების მანძილზე.

EAEA-მ თავის პარტნიორებთან და წევრებთან ერთად განავითარა ,,ცხოვრებისთვის საჭირო უნარების სისტემა" რომელიც წარმოაჩენს მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების აუცილებლობას. ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ განვითარებასთან ერთად, ჩვენი უნარების განახლების აუცილებლობაც დადგება.

ზრდასრულთა განათლება ცვლის ცხოვრებას. ის ქმნის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს, გზას უკვალავს სწავლის მიღმა დარჩენილ ადამიანებს, ეხმარება სწავლას დაუბრუნდნენ ისინი, ვინც ადრეულ ასაკში მიატოვა სკოლა. ამასთანავე ადამიანებში აღვივებს ხელოვნებისადმი და კულტურისადმი გატაცებას და უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

კვლევებით დასტურდება

ადამიანებისთვის მხოლოდ პირისპირ სწავლება არაა მნიშვნელოვანი: კვლევა (BeLL study) გვიჩვენებს, რომ ზრდასრულები უამრავ სარგებელს ნახულობენ ზრდასრულთა არაფორმალური განათლებიდან. ისინი უფრო ჯანმრთელად გრძნობენ თავს და ჯანსაღ ცხოვრების წესს მიყვებიან. ისინი ქმნიან ახალ სოციალურ ქსელებს და იღებენ გამოცდილებას, რომლებიც მათ კეთილდღეობაზე აისახება. უფრო მეტიც, ზრდასრულები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ლიბერალურ ზრდასრულთა განათლებაში, უფრო მოტივირებული არიან ჩაერთონ უწყვეტ განათლებაში და მას ცხოვრების გაუმჯობესების გზად აღიქვამენ. ეს უპირატესობები ყველა კურსის ყველა მსმენელმა აღნიშნა, დაწყებული ენებიდან და ხელოვნებიდან დამთავრებული სპორტით და სამოქალაქო განათლებით. ზრდასრულთა განათლებიდან ყველაზე მეტ სარგებელს ის ადამიანები ნახულობენ, რომელთაც განათლების დაბალი მაჩვენებელი აქვთ. (http://www.bell-project.eu/cms/)

წარმატებული პრაქტიკა

ბრიტანეთში შშმ მსმენელებისთვის არსებობს ზრდასრულთა განათლების პროგრამა ,,მოქალაქეების განრიგი". მის ფარგლებში მონაწილეებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ინგლისური ენა, მათემატიკა და სხვა საჭირო ცხოვრებისეული უნარები, რომლის საშუალებითაც მიღებული პროგრესი, შედეგები და მისწრაფებები შეუძლიათ გამოიყენონ სამუშაო პროცესში, სწავლაში, პირად, ოჯახურ და სოციალურ ცხოვრებაში. ეს მოდელი ხელს უწყობს ადგილობრივ სწავლას და საშუალებას აძლევს მსმენელებს თავად განსაზღვრონ სწავლების შინაარსი. ეს აკავშირებს ინგლისურის (ან ინგლისური, როგორც მეორე ენის), წიგნიერების და მათემატიკური აზროვნების საბაზისო უნარებს ციფურულ, ფინანსურ, ჯანდაცვის და სამოქალაქო შესაძლებლობებთან. (https://www.learningandwork.org.uk/our-work/life-and-society/citizens-curriculum/)

ამ პროგრამის არსებით ელემენტს წარმოადგენს რაც შეიძლება მეტი უნარისა და ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება, რომლებიც კონტექსტის შესაბამისი და მსმენელთა საჭიროებებზე მორგებული იქნება. მოქნილი მოდელის მორგება, გამოყენება და კონტექსტის გათვალისწინებით მიწოდება შეეძლებათ რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე. სასწავლო გეგმის დიზაინისა და მიწოდების პროცესის შექმნაში მსმენელთა მონაწილეობა გაზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას. საპილოტე პროექტების შეფასების მიხედვით საბაზისო უნარების დაკავშირება უფრო მრავალფეროვან უნარებთან და ცოდნასთან მსმენელისთვის პოზიტიურად აისახება, მათ შორის დასაქმებაზე, სწავლის მიმართ დამოკილებულებაზე, სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობასა და თვითშეფასების გაზრდაზე.

არითმეტიკული შესაძლებლობები

ამოცნობა, ჩართულობა და მათემატიკური ინფორმაციის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში - მათემატიკის გამოყენებით პრობლემების გადაჭრა, აღწერა, ახსნა და მომავალი მოქმედებების წინასწარ განსაზღვრა.

წიგნიერების შესაძლებლობები

წერილობითი ტექსტის აღქმა და შექმნა; წერილობით ინფორმაციასთან დაკავშირებით ყოველდღიური ინტერაქცია სახლში ,სამსახურსა და საზოგადოებაში; აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენება სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობისთვის.

ფინანსური შესაძლებლობები

ფულის მართვის უნარი, ინფორმაციის გამოყენება და საჭირო რჩევის მიღება ფინანსების სწორად მართვაზე.



ციფრული შესაძლებლობები

კომპიუტერულ და ინტერნეტ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ გარემოსთან შეჩვევა; ციფრული ინსტრუმენტების, ინფორმაციის მოძიებისა და პრაქტიკული საკითხების მოგვარებისთვის მედიის, რესურსებისა და სხვა საშუალებების გამოყენების უნარი. ციფრული როდუქტების შექმნა, მონაცემების მართვა; მედია შეტყობინების ბუნების ,ტექნიკების და გავლენების კრიტიკული აღქმა.

ჯანმრთელობის შესაძლებლობები

საჭირო ცოდნისა და უნარების ქონა საკუთარი და სხვისი ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; ცოდნა ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისა და გამოყენების შესახებ; სამედიცინო სფეროში საბაზისო ინფორმაციის ცოდნა (წამლები, საკვების შეფუთვა და ა.შ.) .

გარემო შესაძლებლობები

გარემოზე ყოველდღიური მოქმედებების გავლენების გააზრება (მაგალითად, საკვების წარმოებისა და მოზმარები გზები, ენერგია, გადამუშვება, დანაკარგის შემცირება); მდგრადი განვითარების კონცეფციის აღქმა - თუ როგორ აკავშირებს ის გარემოს, სოციალურ და ეკონომიურ ელემენტებს ერთმანეთთან.

პირადი და ინტერპერსონალური შესაძლებლობები

საკუთარი თავის მართვა,პატივისცემა და თანაგრძნობა;გადაწყვეტილების მიღების და პრობლემის გადაჭრის უნარი; სხვების მიმართ პატივისცემის გამოჩენა, კონფლიქტებთან გამკლავება და განსხვავებების მიუხედავად მათთან თანამშრომლობა.

სამოქალაქო შესაძლებლობები

აღქმა იმისა,თუ როგორ მუშაობს დემოკრატია პრაქტიკაში, როგორ მივიღოთ მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში და ჩავერთოთ საზოგადოებაში; რელიგიური და კულტურული განსხვავებების აღიარება და პატივისცემა.

ფოტო ამოღებულია პროექტიდან - ცხოვრების უნარები ევროპისთვის -project https://eaea.org/project/life-skills-for-europe-lse/

LIFE SKILLS FOR EUROPE

სოციალური ერთიანობა, თანასწორობა და სამართლიანობა

განათლების დონე უზარმაზარ გავლენას ახდენს ადამიანის შესაძლებლობებზე: პროფესიის არჩევისა და დაუფლების უნარით დაწყებული, სიცოცხლის ხანგრძლივობით დამთავრებული. საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ რაც უფრო უკეთესი საბაზისო განათლება და მაღალი კვალიფიკაცია აქვს ადამიანს, მით უფრო მეტად სურს სწავლა. ზრდასრულთა განათლება ხელს უწყობს სოციალურ მობილობას. ის მხარს უჭერს, ერთი მხრივ, იმ ადამიანებს ვისაც ადრეულ ასაკში სრული საბაზისო განათლების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა და მეორე მხრივ, მათ ვისაც ზრდასრულ ასაკში სურს გაიღრმავოს ცოდნა. ზრდასრულთა განათლება მის მონაწილეებს არა მხოლოდ ცხოვრების გაუმჯობესების უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს (საბაზო უნარების განვითარებიდან დაწყებული საბაზო განათლების მიღების მეორე შანსამდე და მიგრანტებისთვის ენების კურსით დამთავრებული), არამედ უზრუნველყოფს თანასწორ ხელმისაწვდომობას საზოგადოების წევრებისთვის, ქმნის მყარ საფუძველს და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

სოციალური ინკლუზიის მიღწევისთვის საჭიროა, მოსახლეობის იმ ჯგუფების მოზიდვა, რომლებიც არ მონაწილეობენ საგანმანათლებლო აქტივობებში. სწორი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა სოცილურ, დემოკრატიულ, ეკონომიკურ, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში.

ზრდასრულთა განათლების ძლიერ მხარეს წარმოაგდენს განსხვავებული ხალხის ერთად შეკრების შესაძლებლობა და მათთვის მსგავსი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ურთიერთგაგებისა და პატივისცემის საკითხებზე. მათი ხელშეწყობა აქტიურ მოქალაქეობის, პიროვნული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ის აძლიერებს საზოგადოებას, დემოკრატიასა და სოციალური მშვიდობას.

კვლევებით დასტურდება

კვლევებმა გვიჩვენა, რომ რაც უფრო ნაკლებად აქვს ადამიანს უნარი, წარმართოს საკუთარი ცხოვრება (უნარები, რომლებიც შეიძინა და შეცვალა ცხოვრების მანძილზე), მით უფრო დიდია მათი გამორიცხვის რისკი. (https://eaea.org/project/life-skills-for-europe-lse/) ზუსტად ამიტომ ზრდასრულთა განათლებას საკვანძო ღირებულება აქვს. ზრდასრულთა განათლების უფრო ფართო სარგებელი- არსებულ ცოდნასთან და კვალიფიკაციასთან ერთად - მიიღწევა ორი მექანიზმით:

1. პიროვნული მახასიათებლები და შესაძლებლობები: ზრდასრულთა განათლება აძლიერებს საკვანძო უნარების განვითარების შესაძლებლობას, უნარებსა და პიროვნულ რესურსებს და ასევე აძლიერებს ინდივიდებში თვითრწმენას რთულ სიტუაციებთან გასამკლავებლად.

2. საზოგადოებრივი ინტერაქცია: ზრდასრულთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის საშუალება ეძლევათ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გამოცდილების ადამიანებსა და ჯგუფებს. ის ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას და უზრუნველყოფს სოციალური ჩართულობის შესაძლებლობას.

წარმატებული პრაქტიკა

 შვედეთში სწავლის წამახალისებელ სახალხო უმაღლესი სკოლის კურსებს ძალიან კარგი შედეგები აქვს. კურსები ახალგაზრდა სამსახურის მაძიებლებისთვის სწავლის გაგრძელების მოტივაციის შექმნას ემსახურება. კურსდამთავრებულების 40% სწავლას ან მუშაობას აგრძელებს, 2/3-ზე მეტს კი სწავლის მოტივაცია უმაღლდება და იმ დასკვნამდე მიდის, რომ განათლება კარიერისკენ მიმავალი გზაა. მთელს შევედეთში ტარდება სპეციალური სახალხო უმაღლესი სკოლის კურსები მიგრანტებისთვის, რომლებიც იქ დაფუძნებას ცდილობენ და ლტოლვილებისთვის, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ. ასეთი განსაკუთრებულად წარმატებული ძალისხმევის მიღება, სახელმწიფოს მხრიდან, რეგულარულად დაფინანსებული ზრდასრულთა განათლების ეროვნული სტრუქტურის ფარგლებში არსებულ კომპეტენციებზე და ორგანიზაციაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი. ეს არის ზრდასრულთა განათლების მდგრადი მოდელი, რომელიც ამავე დროს მოქნილია საზოგადოების ახალ მოთხოვნებთან და გამოწვევებთან ადაპტაციისთვის.

ესპანურ ზრდასრულთა განათლების ცენტრ “La Verneda-Sant Marti”-ში პირველად მოსული ადამიანების შეხვედრა უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევა და ის ინდივიდუალურად ტარდება. ცენტრში მოსული თითოეული ადამიანისთვის სპეციალურად გამოიყოფა დრო. ამ პროცესში წინა წლის მსმენელებს გადამწყვეტი როლი აქვთ. ისინი ჩართულები არიან მიღება-რეგისტრაციასა და ჯგუფებში განაწილების პროცესში. მათ უკვე აქვთ კომუნიკაციის უნარი და კარგად ესმით, თუ რა შეგრძნებებთან არის დაკავშირებული ცენტრში პირველად მოსვლა. ჯგუფებში დონეების მიხედვით ახალმოსულთა გადანაწილება მსმენელთან დიალოგსა და კონსენსუსზეა დაფუძნებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ თითოეულმა მსმენელმა გაიაზროს ცენტრში სწავლის არსი და განაწილდეს მისთვის შესაბამის ჯგუფში, სადაც ის ყველაზე მეტს ისწავლის. ცენტრის თანამშრომლები და მოხალისეები ცდილობენ იმგვარად იმოქმედონ, რომ ახალ მსმენელებს არ დარჩეთ შეგრძნება, თითქოს ისინი გამოცდაზე არიან.

დასაქმება და სამსახური

 დასაქმებასა და განათლებას შორის დადებითი კავშირი აშკარაა: უწყვეტ განათლებაში ჩართული თანამშრომლები, დასაქმებული, მეწარმეები და მოხალისეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რადგან სწორედ მათი დამსახურებით კომპანიაში ვითარდება ინოვაციები და ნაყოფიერება, იზრდება კონკურენტუნარიანობა და სამეწარმეო ინიციატივა. დიგიტალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, სერვისზე ორიენტირება, მოქნილობა: ყველა ამ მეგატრენდს შრომით ბაზარზე აქვთ ერთი საერთო რამ: ისინი ზრდიან ან ცვლიან მოთხოვნებს დასაქმებულთა კომპეტენციებზე. ეს ახალი მიგნება არ არის. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მოთხოვნები, ცვლილება და ზრდა ასეთი სწრაფი არასდროს ყოფილა.

 ეს ტრენდები იზრდება იმ ნაბიჯების პარალელურად, რომლებსაც დასაქმებულები გადიან მოთხოვნებისა და ცვლილებების მუდმივი ადაპტაციისა და ახალი უნარების გამომუშავების პროცესში. პროფესიულ უნარებს სჭირდება მუდმივი განახლება. მეტა-კომპეტენციები, როგორებიცაა სოციალური და საკომუნიკაციო უნარები, ხდება არსებითი. ამიტომ, შრომითი ბაზრის განვითარებაზე და სამომავალო სამუშაოებზე ჩატარებული ყველა კვლევა ერთ დასკვნამდე მიდის: იმისათვის, რომ ფეხდაფეხ მიჰყვე არსებულ ცვლილებებს, მუდმივი ტრენინგი და განვითარება, სამუშაო ადგილზე სწავლება, გარდაუვალი პროცესია არამხოლოდ ნაკლებად კვალიფიციური თანამშრომლებისთვის, არამედ ყველა დასაქმებულისთვის. ამის მსგავსად, ყველა უმუშევრისთვის, ზრდასრულთა განათლება ზრდის მდგრადობას და გახანგრძლივებული უმუშევრობის გამო, თავდაჯერებულობის დაკარგვას ამცირებს.

ადამინები, რომელთაც არ გააჩნიათ საჭირო უნარები, უფრო მგძნობიარები არიან შრომით ბაზარზე არსებული ცვლილებებისადმი.
ეს განათლებასა და ტრენინგში მუდმივი ინვესტირებისკენ მოუწოდებს. EAEA ყურადღებას ამახვილებს უნარების განახლების აუცილებლობაზე და ხაზს უსვამს, რომ ყველანაირი ცოდნის მიღება სასიკეთოა დასაქმებისთვის.

კვლევებით დასტურდება

Cedefop-ის კვლევითი დოკუმენტი (2012), სამომავლო უნარების მოთხოვნა-მიწოდება ევროპაში - პროგნოზი, ასკვნის, რომ სახელმწიფოს, წარმოებისა და ინდივიდების მხრიდან განათლებაში გამუდმებით ინვესტიციის ჩადება და ინვესტიციის ზრდა აუცილებელია. იმის მიუხედავად, მოცემულ მომენტში განიცდიან თუ არა ზეწოლას ან პრობლემებს. ძირითადად, ზრდასრულ დასაქმებულებს უწევთ სამომავლო ცვლილებებთან გამკლავება. ეს ის ხალხია, რომლებიც უნდა დარჩნენ ძირითად შრომით ძალად. უნდა შეიქმნას შესაძლებლობები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს ისწავლონ და იყვნენ კვალიფიციურები სხვადასხვა სამსახურისთვის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. თუ ეს შესაძლებლობები არ შეიქმნება, გაიზრდება რისკი, რომ დაბალ-კვალიფიციური ადამიანები გახდნენ ხანგრძლივი უმუშევრობის მსხვერპლნი. (http://www.cedefop.europa.eu/files/5526_en.pdf)

წარმატებული პრაქტიკა

შვეიცარიაში, 2018 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობდა სამუშაო ადგილებზე ძირითადი უნარების სწავლებას. ეს პროგრამა გვერდში უდგას ბიზნესებს, რომლებიც ინვესტიციებს დებენ საკუთარი თანამშრომლების საბაზისო უნარების ტრენინგებში, რათა მათ შეძლონ შრომით ბაზარზე არსებულ ცვლილებებთან გამკლავება. პროექტი ეფუძნება წარმატებულ გამოცდილებას, რომელიც შვეიცარიაში სახელმწიფო ორგანიზაციამ განახორციელა. პროექტმა აჩვენა, რომ სამუშაო ადგილზე საბაზისო უნარების სწავლება მომგებიანია, როგორც დასაქმებულისთვის ასევე დამსაქმებლისთვის. (https://www.sbfi.admin.ch/sbfi/de/home.html)

დიგიტალიზაცია

დღევანდელი საზოგადოება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე, დიგიტალიზაციაზე, გამოხმაურების პროცესშია. ის არღვევს შრომით ბაზარს და ფუნდამენტურად ცვლის სამუშაოს, განათლებისა და ტრენინგების ბუნებასა და მომავალს. სწავლასა და მუშაობაზე დიგიტალიზაციის შესაძლებლობების, გამოწვევებისა და გავლენის განსაზღვრა მნიშნელოვანია ყველა იმ ზრდასრულისთვის, რომელიც უწყვეტი განათლების პროცესშია ჩართული. ის წარმოადგენს პირადი განვითარების, დასაქმების, სოციალური ჩართულობისა და აქტიური მოქალაქეობის გასაღებს. ყველას ესაჭიროება ციფრული უნარის საბაზისო დონე იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებაში.

EAEA შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ევროპის ზრდასრული მოსახლეობის 43%-ს არ გააჩნია ძირითადი ციფრული უნარები. ზრდასრულებს, რომელთაც არ გააჩნიათ ამგვარი უნარების საკმარისი დონე ნაკლებად არიან ჩართულნი საზოგადოებაში. 2024 წლისთვის მოთხოვნა ციფრულ უნარებზე 12%-ით გაიზრდება. ციფრული მოწყობილობების მართვის უნარი კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდება მომდევნო 5 წლის განმალობაში. თუმცა, ხელმისაწვდომობა დიგიტალიზაციის მიერ წარმოდგენილ შესაძლებლობებზე არ არის თანაბრად გადანაწილებული. მოწყვლადმა და მარგინალიზებულმა ზრდასრულებმა შეიძლება ორმაგი წარუმატებლობა განიცადონ მომავალში, რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ გაუმკლავნენ ცვლილებებს. EAEA აცნობიერებს იმის საჭიროებას, რომ ყველა ზრდასრულს ჰქონდეს წვდომა ძირითად და საშუალო ციფრული უნარების შესწავლაზე.

ტექნოლოგია ცვლის ასევე სწავლა-სწავლების მომავალს, ქმნის უამრავ საშალებას განათლების მიღების, სწავლისა და სწავლების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა გამოიყენონ ეს ინსტრუმენტები, რათა გაუმჯობესონ მუშაობის პროცესი, შექმნან პრაქტიკული საზოგადოებები და გააზიარონ მათი ცოდნა და უნარები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ინფრასტრუქტურასა და ტრენინგებზე.

დიგიტალიზაციამ უკვე შეცვალა და მომავალშიც შეცვლის ჩვენი ცხოვრების მდგომარეობას, მობილობას, გარემოებებს, კომუნიკაციასა და სხვა ყოფით სფეროებს. ის ასევე შეცვლის ცხოვრებისეულ უნარებს, რომლებიც ამ ცვლილებების მართვისთვისაა საჭირო და ასევე, მსმენელებს დაეხმარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაში. ზრდასრულთა განათლება ავითარებს ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს და ასევე პროგნოზირებს სამომავლო განვითარების ფორმებს.

4) Accenture Skills of the Future Survey 2017

კვლევებით დასტურდება

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის პუბლიკაცია (2016) Global Challenge Insight გვატყობინებს:,, სამუშაოს მომავალი-დასაქმების, უნარების და სამუშაო ძალის სტრატეგია მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე" ასკვნის რომ, უბრალოდ წარმოუდგენელია ამჟამინდელ ტექნოლოგიურ რევოლუციის გადატანა იმის მოლოდინში, რომ შემდეგი თაობის სამუშაო ძალა უფრო მომზადებული იქნება. ამის მაგივრად, აუცილებელია, რომ ბიზნეს ორგანიზაციებმა აქტიური წვლილი შეიტანონ მათი ამჟამინდელი თანამშრომლების გადამზადებაში, რათა ინდივიდები აქტიურად შეუდგნენ უწყვეტი განათლების მიღებას. მთავრობამ სწრაფად და კრეატიულად უნდა შექმნას შესაბამისი გარემო, რათა ამ მცდელობებს დაუჭიროს მხარი. (http://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Jobs.pdf).

წარმატებული პრაქტიკა

HackYourFuture არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ნიდერლანდებში ეხმარება ლტოლვილებს ისწავლონ კომპიუტერული პროგრამირება და გახდნენ სრული ვებ დეველოპერები. ეს პროგრამა ფუკუსირდება სტუდენტების სწრაფ სწავლებაზე, თუ როგორ დააპროგრამონ და განავითარონ სამუშაო ბაზარზე არსებული მოთხოვნადი უნარები და ამავდროულად, სტუნდეტებს ეხმარება ისეთ კომპანიებთან დაკავშირებაში, რომლებსაც პროგრამისტების დასაქმება სურთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრამა მუშაობს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე, სადაც სტუდენტები დგანა გამოწვევის წინაშე, რომ განავითარონ საკუთარი იდეები, თავი მოუყარონ მათ და მუშაობის პროცესში მიიღონ ცოდნა. სწავლების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ონლაინ პლათფორმაზე საგანმანათლებლო გვერდის მეშვეობით, თუმცა ყოველ კვირას იმართება შეხვედრები ამსტერდამში. პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარებული გაკვეთილების საფუძველზე, ლტოლვილები იწყებენ საკუთარი პროექტების შექმნას. ამ დროისთვის 20 კურსდამთავრებული დასაქმდა, ან სტაჟირება გაიარა ნიდერლანდების სხვადასხვა კომპანიაში. http://www.HackYourFuture.net/#/

მიგრაცია და დემოგრაფიული ცვლილებები

ზრდასრულთა განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის დღევანდელ მიგრაციულ და ლტოლვილთა საკითხებში. ამ პროცესში არასათანადოდ განიხილება სახალხო პოლიტიკა (მათ შორის განათლების საკითხებზე), რომ ხელი შევუწყოთ მიგრანტებს, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და შევამციროთ სერვისებსა და ინფრასტრუქტურაზე ადგილობრივი ზეწოლა.

ინტერკულტურული დიალოგის განხორციელება ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას მკვიდრ და ახალ მოსახლეებს შორის. ის ეხმარება მიგრანტებს გაითავისონ კულტურა და ის სოციალური კანონები, რომელიც მოქმედებს მათ ახალ მშობლიურ ქვეყანაში და საშუალებას აძლევს მასპინძელ მოქალაქეებს დააფასონ განსხვავებული ჩვევები და ხელი შეუწყონ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ განათლების ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებების შექმნა, ვაღიაროთ ადრინდელი სწავლება, ასევე ვუზრუნველყოთ ენის შესწავლის კურსები მიგრანტებისთვის, რათა მათ შეძლონ გახდნენ აქტიური მოქალაქეები ახალ მშობლიურ ქვეყანაში. ზრდასრულთა განათლების როლი უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ინდივიდებმა და უფრო ფართო საზოგადოებამ ყველას სასარგებლოდ გამოიყენოს მაღალგანვითარებული უნარების მქონე მიგრანტების შესაძლებლობები. ამავდროულად, მხარი უნდა დავუჭროთ იმ ინდივიდებსა და საზოგადოებებს, რომლებიც მიგრაციის გამო თავს გრძნობენ იძულებით გადაადგილებულ პირებად. ხელი შევუწყოთ მათ, შეიძინონ უნარები, რომლებიც საზოგადოებაში ინტეგრაციაში დახმარებათ.

ჩვენ დიდ დემოგრაფიულ ცვლილებებს ვხედავთ ევროპაში, დაბერებული მოსახლეობით რომლებიც დიდხანს ცხოვრობენ და ხანგრძლივად მუშაობენ. ხანდაზმულები მოსახლეობის დიდ და მზარდ ნაწილს წარმოადგენენ, რაც მნიშვნელოვნად და ფუნდამენტურად ცვლის ჩვენს საზოგადოებას.

მსმენლის ისტორია

ფატიმა ირლანდიაში თავის დედასთან და ორ ძმასთან ერთად 2013 წლის ნოემბერში ჩავიდა. ის დუბლინში 3 წელი ცხოვრობდა, მანამ სანამ ტულამორში გადავიდოდა თავის ოჯახთან ერთად. წარმოშობით ავღანელი ფატიმა ლტოლვილია. ის ჯერ ირანში იმყოფებოდა, შემდეგ სამი წელი სირიაში ცხოვრობდა. როდესაც ირლანდიაში ჩამოვიდა მას ენის კურსების სახით დახმარება გაუწია იუსტიციის დეპარტამენტმა. მას მიაჩნდა რომ კურსები ძალიან დაყოფილი იყო და ამიტომ ირლანდიურ ხალხთან ინტეგრაცია სურდა. ამის შემდეგ მას პროფესიული გადამზადების შესაძლებლობების პროექტის (VTOS) შესახებ უთხრეს. ამ დროისთვის მას კურსების პირველი წელი ჰქონდა დასრულებული. VTOS კურსი ორწლიანია, თუმცა სტუდენტები, როგორც წესი, პირველ წელს დაბალი საფეხურის სერტიფიკატს იღებენ, ხოლო მეორე წელს კი კურსის დამთავრების მოწმობას. ფატიმა ფიქრობდა, რომ ორ წელში ის ორი სრული კურსის დამთავრებას შეძლებდა. ამაში მას მხარი დაუჭირა ,,ტულამორის განათლების ხელშეწყობის ცენტრმა" და ამიტომ მან ფიზიკისა და ქიმიის კურსი ერთდროულად აიღო. ამასთანავე, ის Athlone IT-ის სხვადასხვა პრაქტიკულ საქმიანობაშიც ჩაერთო. ფატიმა ძალიან ამბიციური ადამიანი. მან ძალიან კარგად იცის ინგლისური და ის აღნიშნავს, რომ ,,Laois", ,,Offaly Education" და ,,Training Board" ძალიან დაეხმარნენ. ფატიმას მომავალში ძალიან დიდი მოლოდინები აქვს.

დემოგრაფიული ცვლილებების დასაძლევად ევროპას სჭირდება მოქალაქეები, რომლებიც ჯანმრთელობას ხანგრძლივად შეინარჩუნებენ.

EAEA აქტიური დაბერების მომხრეა და ის მხარს უჭერს საერთო ხედვას, იმის შესახებ, რომ მოხუცებულები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ცხოვრების რიტმში. სწავლა ბევრ საშუალებას იძლევა ამის მისაღწევად. აქტიური სიბერე იმ შემთხვევაში მიიღწევა თუ შეიქმნება სწავლების შესაძლებლობები ხანდაზმულებისთვის. კვლევებმა გვიჩვენა, რომ უფროსები, რომლებიც იღებენ განათლებას არიან ბევრად აქტიურები, მათი სოციალური კონტაქტები უფრო დიდია, ხდებიან მოხალისეები, უფრო დიდხანს მუშაობენ და არიან ჯანმრთელები. შესაბამისად, აუცილებელია მაღალი ხარისხის განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა ხანდაზმული ადამიანისთვის, რომელსაც საპასუხოდ დასჭირდება პოლიტიკის, დაფინანსების, სტრუქტურისა და ხელმისაწვდომობის ჩარჩოს შექმნა. სწავლას ღრმა სიბერეშიც კი აქვს პოზიტიური გავლენები.

გარდა ამისა, ინტეგრირებული სწავლება საშუალებას აძლევს, როგორც ხანდაზმულს, ასევე გამოცდილ ახალგაზრდას თავიანთი ცოდნის გაზიარებით მიიღონ საჭირო ცოდნა და ინფორმაცია. მეორე მხრივ, ერთობლივი ღონისძიებები აძლიერებს ინტეგრაციულ სოლიდარობას ევროპულ საზოგადოებებში.

კვლევებით დასტურდება

დღესდღეობით ყველაზე დიდ გამოწვევად გვესახება საზოგადოების დამოკიდებულება დემენციის მქონე ადამიანების მიმართ - რამდენად შეუძლიათ და სურთ დამოუკიდებლობისა და აქტიურობის შენარჩუნება. უკვე არსებობს ისეთი დაწესებულებები და ინსტრუქციები (როგორიცაა, Hogewey ნიდერლანდებში და Aigburth Care Homes ბრიტანეთში), რომლითაც ამგვარ გამოწვევებთან გამკლავებაა შესაძლებელი. მათ განავითარეს ინოვაციური, ადამიანური გზები, დემენციასთან გასამკლავლებლად. სწავლა, ამგვარ დაწესებულებებსა და ინიციატივებში, მთავარ კონცეფციას წარმოადგენს ზრდასრულ ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობისას. ადამიანები, რომლებიც იღებენ განათლებას პოზიტიური ემოციით იმუხტებიან და მათი ფსიქიკური მდგომარეობა უმჯობესდება. ვარაუდობენ, რომ ფსიქიკურად სტიმულირებად აქტივობებს აქვს დადებითი და გრძელვადიანი შემეცნებითი გავლენა და ამავდროულად დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარების შეფერხება ან პრევენცია შეუძლია. (Snowden, 2001 in Simone and Scuilli, 2006) (https://scholarcommons.scu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1144&context=psych)

წარმატებული პრაქტიკა

21-ე საუკუნეში ევროპაში NEET-U პროექტმა გააერთიანა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური და საგანმანათლებლო გამოწვევა: როგორ გაიზარდოს გამოცდილი ადამიანების რიცხვი, რომლებსაც სოციალური და საგანმანათლებლო შესაძლებლობები აქვთ და როგორ გავხადოთ ისინი მთავარ მოთამაშეებად NEET-U-ს დრამატულ ზრდისა და ევროპის სხვა სოციალურად გარიყული ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მათ ერთობლივად მოაწყვეს 4 დღიანი Hackathon-ის მარათონი კრეატიული ციფრული პროექტის გასავითარებლად. 70-ზე მეტ ზრდასრულ ადამიანს მოსთხოვეს მოეტანათ ოჯახის ან მათი წინაპრების ფოტოები, რომლებიც მნიშვნელოვან მოგონებებს უკავშირდებოდა. შედეგად მოეწყო საშუალო და დიდი ზომის ფორმატის ფოტოების საყოველთაო გამოფენა, რომლებიც შერჩეული იყო ,,ანალოგიური მოგონებებიდან”. ისინი ციფრულად დაამონტაჟეს ქალაქის ცენტრის კედლებზე, კარებებსა და კუთხეებში. ზრდასრულებმა და თავად NEETs-მაც შეიძინეს ახალი უნარები, გახდნენ თავდაჯერებულები და გაითავისეს, რომ გააჩნიათ ბევრი შესაძლებლობა, ძალა, გამოცდილება და პიროვნული მახასიათებლები. ზრდასრულებს შეუძლოათ იმოქმედონ ახლებურად. ბროკერების მსგავსად, ისინი იყენებენ სანაცნობო ქსელსა და კონტაქტებს, რითიც ხელს უწყობენ ახალი სოციალური მეწარმეების განვითარებას. (http://www.neetu.eu).

მდგრადობა

დღესდღეობით მდგრადობა წარმოადგენს გლობალურ გამოწვევას, რომელშიც სამი განზომილება ურთიერთქმედებს: სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური. ზრდასრულთა განათლებას წვლილი შეაქვს მდგრადობის ყველა დონეზე, არა მხოლოდ, უნარების, ცოდნის და კომპეტენციების უზრუნველყოფით. სოციალური ჩართულობა, აქტიური მოაქალაქეობა, ჯანმრთელობა და პირადი კეთილდღეობა, ასევე საკმაოდ გავრცელებულ მიზნებს წარმოადგენს. ზრდასრულთა განათლება უზრუნველყოფს ინფორმაციას, სადებატო სიცრცეს და კრეატიულობას, რათა განვავითაროთ ცხოვრების ახალი სტილი, ახალი პროექტები და ახალი მიღწევები, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითრებისთვის.

ზრდასრულთა განათლება "გლობალური დღისწესრიგი 2030"-ში (SDGs) არსებულ 17-ვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას უწყობს ხელს: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული სფეროებში ცვლილებების საფუძვლების შექმნის გზით. ამ 17-ვე მიზნიდან ერთი ამოცანა მაინც მოიცავს სწავლას, ტრენინგს, განათლებას და სულ მცირე ცნობიერების გაზრდას განათლების საკითხებზე. ამავდროულად, ზრდასრულთა განათლება და უწყვეტი სწავლა არ წარმოადგენს მხოლოდ ტრანსვერსიულ მიზანსა და მეთოდს, რათა მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს, არამედ, იგი წარმოადგენს კონკრეტულ მიზანსაც. SDG4-ის მიხედვით, თანაბარი და ხარისხიანი განათლება და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობები ყველასთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ზრდასრულთა განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლისაბონის დღის წესრიგის მიღწევაში - მდგრადი, გონიერი და ინკლუზიური განვითარებისთვის. ზრდასრულთა განათლებას შეუძლია დასაქმების დონის გაზრდის ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და საერთო ციფრული ბაზრის დახმარება. მდგრადი განვითარების პრინციპის ხელშეწყობით, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია დაეხმაროს ენერგეტიკული კავშირის ფუნქციონირებას და კლიმატის ცვლილების საკითხებში პროგრესული პოლიტიკის ამოცანების შესრულებას. ზრდასრულთა განათლებას, აგრეთვე, შეუძლია ევროპული ფასეულობებისა და ნდობის ხელშეწყობა და საერთო ბაზარზე ზემოქმედება, მაგალითად, სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილებისთვის უნარების სწავლების უზრუნველყოფით.

კვლევებით დასტურდება

ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მრავალფეროვნების ურთიერთკავშირის კვლევა აჩვენებს, რომ მაგალითების 95%-ში, არსებობს გეოგრაფიული გადაფარვა მაღალ ბიოლოგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებას შორის (Alcorn, Clover et al.-ზე დაყრდნობით. 2010). თუმცა, ტრადიციული ადგილობრივი ცოდნის ღირებული წყაროები არ არის სრულად დაფასებული ან ფართოდ გაზიარებული და გაუმჯობესებული, ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. მათ შეიძლება ჰქონდეთ ძლიერი გავლენა საზოგადოების მრავალფეროვნებაზე, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფების მზარდ რისკებზე პრევენციის ან ზიანის შემცირების ჩათვლით, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების ეფექტიანობასთან. კიდევ ერთი პარადიგმის ცვლა - მოწყვლადობიდან "შესაძლებლობის მქონე თემის" განვითარებისკენ - რთული მისაღწევია საგანმანათლებლო პროგრამებსა და აქტივობებში ზრდასრული მოქალაქეების ჩართულობის გარეში. (Orlovic Lovren and Pejatovic 2015)

წარმატებული პრაქტიკა

DVV International საგრანტო პროგრამის ფარგლებში „ინოვაციები ზრდასრულთა განათლებაში", ინტერაქტიულმა მუზეუმმა „შუქურა"-მ განახორციელა პროექტი "მზის სამზარეულო და პარაბოლოიდური მზის ქურა". პროექტი მიზნად ისახავდა მზის ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის წარმოდგენასა და ეკო-მეგობრული "მზის ქურის" მეთოდის პოპულარიზაციას საქართველოში. ამ მიზნით, „შუქურამ" შექმნა 5 მზის ქურა და გადასცა 5 სხვადასხვა ზრდასრულთა განათლების ცენტრს საქართველოს მაშტაბით. ეს პროექტი ზრდის ცნობიერებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება და ადგილობრივებს სთავაზობს ენერგიის გამოყენების ალტერნატიულ გზას. ზრდასრულთა განათლების ცენტრები მზის ქურას იყენებენ გარე აქტივობებისა და კულინარიის კურსების ფარგლებში. პროექტის ყველა მონაწილე ცენტრში შეიქმნა ეკოლოგიის საკითხებზე საკონსულტაციო სერვისები, რომლის ფარგლებშიც ისინი მუშაობენ ადგილობრივ თემთან, რათა გაავრცელონ ინფორმაცია ეკოლოგიის საკითხებზე, ისევე როგორც, მდგრად ნაგებობებსა და მასალებზე, ასევე სოციალურ და გარემოს განვითარების საკითხებზე.

The Umweltberatung ავტრიაში (ეკო-კონსულტირება) შეიქმნა ელექტრო ეფექტიანობის მართვის მოწმობა (EEDL). EEDL წარმოადგენს ენერგიის დაზოგვის ინსტრუმენტს კერძო საკუთრებისთვის, პატარა და დიდი საწარმოებისთვის და საზოგადოებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს კლიმატის დაცვა და ენერგიის დაზოგვა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ენერგიის დაზოგვა ხელს უწყობს ენერგო ხარჯების შემცირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისა და შინამეურნეობებისათვის, რომლებიც სიღარიბის რისკის ქვეშ იმყოფებიან. ცხოვრების წესსა და ქცევაში, ენერგიის შეგნებულ გამოყენებას და ენერგოეფექტურ განვითარებას, ასევე შეაქვს წვლილი ხარჯების შემცირებაში და ეხმარება სიღარიბესთან გამკლავების პროცესს. სამუშაო კონტექსტში, ენერგიის შეგნებული გამოყენება ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის გაზრდას ხარჯების შემცირების გზით. საწარმოს მხარდაჭერის რესურსირებამ ასევე შეიძლება წაახალისოს თანამშრომლები, რომ იზრუნონ საკუთრი ცხოვრების კეთილდღეობაზე. (http://www.umweltberatung.at/ueber-uns-international and, https://energie-fuehrerschein.at/).

---

5) Lovren, V. O., & Popović, K. (2018). Lifelong Learning for Sustainable Development—Is Adult Education Left Behind?. In Leal Filho, W., Mifsud, M., & Pace, P. (Eds.), Handbook of Lifelong Learning for Sustainable Development (pp. 1-17). Springer, Cham.

ზრდასრულთა განათლება ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკა

როგორც მანიფესტიდა ჩანს გვიჩვენებს, ზრდასრულთა განათლება აუცილებელია ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად:

- ზრდასრულთა განათლება პასუხისმგებლობას იღებს განახორციელოს და გააუმჯობესოს აქტივობები,სწავლასა და მუშაობას დაშორებულ ადამიანების მოსაზიდად. ასევე, იმ პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ვინც სათანადო სარგებელი ვერ მიიღო საბაზო განათლებისგან.

- ევროპაში დაბალი საბაზისო უნარების მქონე ადამიანების რიცხვის შესამცირებლად ზრდასრულთა განათლება აუცილებელია.

- ზრდასრულთა განათლება ევროპელ მოქალაქეებს ამარაგებს კომპეტენციებით, რათა მათ შეძლონ კრიტიკულად აზროვნება და იყვნენ ინფორმირებულები.

- ზრდასრულთა განათლება ქმნის შესალებლობებს, რომლებიც გვეხმარება თავდაჯერებულობის გაზრდაში, სოციალურ ჩართულობაში, დასაქმებასა ან სამსახურეობრივ განვითარებაში.

- ზრდასრულთა განათლება ზრდის ევროპის დასაქმების დონეს ადამიანების სამსახურებში დაბრუნების, კომპეტენციების და უნარ-ჩვევების შეფასება- გაზრდის გზით.

- ზრდასრულთა განათლება ახორციელებს სოციალური უფლებების ევროპულ სვეტს, განსაკუთრებით განათლების, ტრენინგისა და უწყვეტი სწავლის მთავარ პრინციპებს. ამასთანავე, სხვა პრინციპებს ცენტრში მსმენელის საჭიროებების განთვალისწინებით ნერგავს (მაგალითად სამუშაო ცხოვრების ბალანსი, სოციალური დაცვა).

- ზრდასრულთა განათლება ფოკუსირდება ევროპული სტრატეგიის ღირებულებებზე: თანასწორობა, სოციალური ინტეგრაცია, აქტიური მოქალაქეობა, კრეატიულობა და სხვა ინოვაციები.

- ზრდასრულთა განათლება ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და ხაზს უსვამ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ძალისხმევა . ზრდასრულთა განათლება უზრუნველყოფს საჭირო ცოდნასა და დამოკიდებულებებს.

- ზრდასრულთა განათლება აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებასა და აქტიურ მოქალაქეებს, სოციალური და სამოქალაქო უნარების განვითარებითა და სხვა არასამთავრებო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფით.

პოლიტიკის რეკომენდაციები

EAEA რეკომენდაციას სთავაზობს ევროპულ და საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელებს:

- არაფორმალური ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობისა და სარგებლის აღიარება, არა მარტო ინდივიდისთვის, არამედ დემოკრატიის, საზოგადოების, შრომითი ბაზრის, ჯანდაცვის სისტემებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სფეროებისთვის.

- ზრდასრულთა სწავლისა და განათლების აღიარება ევროპის მნიშნელოვან სტრატეგიად .

- ევროპული სემესტრის გამოყენება ზრდასრულთა განათლების მხარდასაჭერ და განმავითარებელ ინსტრუმენტად.

- ევროპული განათლების სფერო გახდეს ევროპული უწყვეტი სწავლების ნაწილი, სადაც ყველა სექტორს თანაბარი სტატუსი და პრიორიტეტი ექნება.

- სოციალური უფლებების ევროპული სვეტი განხორციელდეს მოქალაქეზე ორიენტირებული მიდგომით, სადაც ზრდასრულთა განათლება მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება

- უწყვეტი განათლების მხარდასაჭერად ხელი შეეწყოს ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას.

- არაფორმალური ზრდასრულთა განათლების სტრატეგიების, პოლიტიკის ინიციატივების გაძლიერება ევროპულ, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

- უწყვეტი განათლების საკითხების გათვალისწინება სხვადასხვა საჯარო პოლიტიკებსა და პროგრამებში (მაგ. მდგრადობა, ჯანდაცვა, დასაქმება, მიგრაცია).

- თანამშრომლობის, კოლაბორაციისა და სწავლების გაზრდა პოლიტიკას, პრაქტიკას და კვლევას შორის.

- ზრდასრულთა განათლებაზე სამოქალაქო დიალოგის დამკვიდრება ან/და გაუმჯობესება.

- ადეკვატური მართვისა და დაფინანსების სისტემის შექმნა და განხორციელება, რაც აუცილებელია უწყვეტი განათლების გავრცელების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი ჩართულობის მისაღწევად.

- ზრდასრულთა განათლების ფინანსური მხარდაჭერა და მისი აღქმა, როგორც ინვესტიცია და არა ხარჯი.

- თანმიმდევრული უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრება, რომლის აღიარება და დადასტურება პროგრესის მომტანია.

- თემში სწავლის მხარდაჭერა და დაფინანსება.

სამუშაო ადგილების ზრდიდან დაწყებული ერთიანი ციფრული ბაზრით დამთავრებული, კლიმატის ცვლილებიდან დაწყებული შიდა ბაზრით დამთავრებული, მიგრაციით დაწყებული გლობალური საკითხებითა და დემოკრატიული ცვლილებებით დამთავრებული, ზრდასრულთა განათლება ხელს უწყობს ევროპული და საერთაშორისო სტრატეგიების განვითარებას. ზრდასრულთა განათლებას გადამწყვეტი როლი აქვს ევროპის თანმიმდევრულ, წარმატებულ და სტაბილურ განავითარებაში. ის ხელს უწყობს ისეთი ევროპის ჩამოყალიბებას, რომელიც პოზიტიურად გაუმკლავდება სამომავლო გამოწვევებს.

EUROPEAN ASSOCIATION FOR
THE EDUCATION OF ADULTS

Mundo-J, Rue de l'Industrie 10, 1000 Brussels
Tel. +32 2 893 25 22 eaea-office@eaea.org
www.eaea.org